შემოსავლების სამსახური

ბრძანება N 7269

10/02/2014

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული ქონების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, უსასყიდლოდ, უვადოდ, სარგებლობის უფლებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული ა/მანქანა:

- ,,ტოიოტა ლენდ კრუიზერი“, სახელმწიფო ნომრით IMI-040 , საიდენტიფიკაციო კოდი JTEBH3FJ60K079581, გამოშვების წელი 2012, საწყისი საბალანსო ღირებულება 92604 ლარი, ნარჩენი ღირებულება 82232,35 ლარი;

2. შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველომ (სამმართველოს უფროსის მ.შ. გივი ცქვიტინიძე) უზრუნველყოს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონების გადაცემა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველომ (სამმართველოს უფროსი მამუკა კვირიკაშვილი) უზრუნველყოს ამ ქონების მიღება;

3. შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გივი ცქვიტინიძემ და ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა მამუკა კვირიკაშვილმა უზრუნველყონ ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონების ფინანსთა სამინისტროსთვის გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერა;

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს ნიკოლოზ კახეთელიძეს;

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი გვარამაძე

სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური